

სატენდერო ფაილი / ტენდერის პირობები
(ერთჯერადი კონტრაქტი)
ვებგვერდის შექმნა პროექტისათვის

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR) 2022 წლის 28 იანვრიდან ახორციელებს პროექტს „გენდერზე ორიენტირებული პედაგოგიკა თანაბარი განათლების შესაძლებლობებისთვის“, პროექტი დაფინანსებულია UN WOMEN-ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალური ოფისის და UNFPA-ს მიერ. პროექტის ფარგლებში ცენტრი ელექტრონული პლატფორმის/ ვებგვერდის შექმნისათვის ეძებს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

ტენდერის წესები

აღნიშნული სატენდერო პროცედურა ძალაშია 20 კალენდარული დღის განმავლობაში, წარდგენის დასრულების დღიდან. ტენდერის მონაწილეთა შერჩევა მოხდება ქვემოთ მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. ყველა მონაწილეს წერილობით ეცნობება პროცედურის შედეგები.

ტენდერის განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ელექტრონული ფოსტით ქვემოთ მოცემულ ცხრილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, სათაურის ველში შემდეგი მითითებით: CCIIR-ის ტენდერი ვებგვერდის შექმნისათვის. სატენდერო განაცხადები, რომლებიც გამოგზავნილი იქნება სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არ განიხილება. ამ პროცედურის შესახებ ზოგადი და საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ამ განაცხადში.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული CCIIR საკონტაქტო ინფორმაცია ნებისმიერი შეკითხვისთვის. ყველა შეკითხვა წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო განაცხადების წარდგენის ბოლო ვადამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე ექსკლუზიურად ქვემოთ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, შემდეგი მითითებით სათაურის ველში: კითხვები ტენდერზე CCIIR-ის პროექტის შეფასებისთვის.

კონტრაქტის ტიპი	ერთჯერადი კონტრაქტი
ხანგრძლივობა	მხარეთა ვალდებულებების სრულ შესრულებამდე
სატენდერო განაცხადის/წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	6 მარტი, 2022
ელ.ფოსტა სატენდერო წინადადებების წარდგენისათვის	Info.cciir@gmail.com
ელ.ფოსტა შეკითხვების დასმისათვის	Info.cciir@gmail.com

სატენდერო განაცხადი

სატენდერო განაცხადში უნდა იყოს ფიქსირებული ფასი, მოიცავდეს ყველა საკითხს მიღებისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. მიღებული სატენდერო განაცხადები ვადის ამოწურვიდან 30 დღის განმავლობაში დარჩება ძალაში.

სატენდერო განაცხადები მიიღება ოფიციალურ ბლანკზე ან ფორმატში.

სხვა მოთხოვნები:

- 1) წარდგენილი თანხა უნდა მოიცავდეს მთლიან ოდენობას, შეთავაზებები უნდა იყოს ძალაში მინიმუმ 30 დღის განმავლობაში ტენდერის ვადის გასვლის შემდეგ. დამატებითი მომსახურება უნდა იქნეს ცალკე მითითებული.
- 2) ტენდერში მონაწილე პირს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.
- 3) საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, მცხეთის ქ 8/90.
- 4) ანაზღაურება: ეტაპობრივად, გაწეული სამუშაოების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- 5) შემოთავაზება მიღებული იქნება გარკვეული დროის შემდეგ და განიხილება მოგვიანებით, CCIIR-ის უფლებამოსილების შესაბამისად.
- 6) დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ ფირმასთან.

7) ტენდერში მონაწილე პირები ვალდებული არიან, მათი შემოთავაზება აკმაყოფილებდეს იმ ინსტრუქციებს, ვადებსა და პირობებს, რომლებიც მითითებულია სატენდერო განაცხადში. აღწერილი ვალდებულებების დაუცველობა გამოიწვევს დისკვალიფიკაციას.

ტენდერის ფარგლებში უნდა განხორცილდეს შემდეგი სამუშაოები:

- ვებგვერდის შექმნა
- პროექტის მიზნების შესაბამისად, ვებგვერდის ტექნიკური პარამეტრების დადგენა
- ვებგვერდის დიზაინის შემუშავება
- არსებულ ჰოსტინგზე ვებგვერდის ატვირთვის უზრუნველყოფა
- ვებგვერდის ტექნიკური გამართვა
- პროექტის ვებ-ადმინისტრატორის პანელის მარტივი მექანიზმის უზრუნველყოფა
- ტექნიკური მონიტორინგი და დახმარება საჭიროების შემთხვევაში, პროექტის მიმდინარეობის პროცესში

ვებგვერდის და მასთან ასოცირებული მობილური აპლიკაციის შემუშავება უნდა მოხდეს გამარჯვებული პირის/კომპანიის შერჩევიდან არა უმეტეს 2 თვის განმავლობაში.

ვებგვერდის ტექნიკური მახასიათებლები:

რესურსების გაზიარების, პროფილებისა და პორტფოლიოს პლატფორმა.

საიტზე ჩაშენებული ფუნქციები:

კონტენტის (ტექსტური, საინფორმაციო, პედეგოგ ფაილებისა და ვიდეო კონტენტის) კატეგორიზირებული გამოქვეყნება.

კატეგორიები დაყოფილი შინაარსისა და კონტენტის მიხედვით ღონისძებები, პროგრამები, განცხადებები, PDF ფაილები, ვიდეო კონტენტი)

კონტენტი დაყოფილი კატეგორიებად და სეგმენტებად (სეგმენტი როგორც დამატებითი და გაფართოებული საძებო ფილტრი)

კონტენტის ფილტრი კატეგორიებისა და სეგმენტების მიხედვით

საიტზე ძებნის ფუნქცია (კონტენტის ძიება, მომხმარებლის ძიება)

გამოქვეყნების წვდომები დაყოფილია მომხმარებლის სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით (რეგისტრირებული მომხმარებელი, საიტის ადმინისტრაცია, ადმინისტრაციის მიერ ნებადართული ავტორები) და განაწილებულია კატეგორიებში.

საიტზე რეგისტრაციის სისტემა, რეგისტრაცია როგორც ელ ფოსტის ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით, რეგისტრაციის ვერიფიკაცია (სპამის მინიმუმაციის მიზნით)

1 ეტაპი: პროფილი განხილვაში გადადის ელ ფოსტის ვერიფიკაციის შემდეგ.

2 ეტაპი: ქვეყნდება მხოლოდ ადმინისტრაციის დასტურის შემდეგ.

ავტორიზაცია მეილისა და სოციალური ქსელების მეშვეობით

პროფილების სისტემა:

- მომხმარებელს ეძლევა საშუალება, საკუთარ პროფილში გამოაქვეყნოს პირადი ფოტო, მოკლე პირადი და ბიოგრაფიული მონაცემები, საკუთარი სოციალური ქსელების მისამართები (ფეისბუქი, ლინკდინი), განათავსოს პოსტები ადმინისტრაციის მიერ ნებადართულ კატეგორიებში (შექმნას თავისი კონტენტის პორტფოლიო), დაარედაქტიროს საკუთარი პროფილი.
- საიტის ადმინისტრაციას აქვს საშუალება შეცვალოს / დაამატოს მომხმარებლის მიერ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახე/ რეგისტრაციის ველების შეცვლა / დამატება.
- პროფილში ცალ-ცალკე დაყოფილი კონტენტი (1. რესურსები – ვიდეო , PDF ფაილები, 2. ტექსტური ინფორმაცია)
- სხვადასხვა მომხმარებლის მიერ საკუთარ პროფილებში განთავსებული კონტენტის აკუმულაცია შესაბამის გვერდზე (მენიუს პუნქტებში), შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.
- საიტის ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან (კონტენტის გაზიარების საშუალება)
- საიტის ინტეგრაცია Google-ის საძებო სისტემასთან
- GDPR, უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

საიტის სტრუქტურა:

მთავარი გვერდი

- ✓ ბანერი, მომხმარებლის მიერ ბლოგს განთავსებული კონტენტის ბლოკები, სიახლეების ბლოკი, მომხმარებლების ბლოკი (შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული გამოტანა), სპონსორების ბლოკი;
- ✓ მენიუსა და ქვემენიუს პუნქტებში კატეგორიების მიხედვით დაყოფილი კონტენტი, ყოველ გვერდზე ჩაშენებულია ფილტრაციის სისტემა, კონკრეტულ

გვერდებზე ჩაშენებულია ავტორის პროფილი და ავტორის ბოლო 5 პოსტის გამოტანის ფუნქცია.

- ✓ რეგისტრირებული მომხმარებლების გვერდი
- ✓ საკონტაქტო ინფორმაციის გვერდი (რუკა, საკონტაქტო ფორმა, საკინტაქტო ინფორმაცია)

სატენდერე განცხადებები მიიღება 2022 წლის 6 მარტამდე და მოიცავს ვებგვერდის საილუსტრაციო პარამეტრებისა და დიზაინის სავარაუდო გეგმას, სამუშაოს საკალენდარო გეგმასა და დეტალურ ბიუჯეტს.

წარმოსადგენი დოკუმენტები

ტენდერში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ CV-რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაახელებულ სფეროში გამოცდილების ქონისა და შესაბამისი განათლების შესახებ (ფიზიკური პირებისათვის)
- ✓ (იურიდიული პირებისათვის)-ინფორმაცია კომპანიის შესახებ, ნამუშევრების პორტფოლიო.

დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და/ან ინგლისურ ენებზე.